მესამე შეხვედრა, მესამე დამარცხება

ორი თვის “დასვენების” შემდეგ ბერიას სახელობის “დინამოს” სტადიონი კვლავ გაივსო მაყურებლებით. 3 აგვისტოს მატჩს სსრკ თასზე – მოსკოვის “ტორპედოსა” და თბილისის “დინამოს” შორის დიდძალი მაყურებელი დაესწრო.

სრულ 6 საათზე ამწვანებულ მოედანზე გამოდიან მოწინააღმდეგეები. იწყება თამაში. მოსკოველთა უპირატესობა ტაიმის პირველი წუთებიდანვე აშკარა ხდება. “ტორპედოს” თავდამსხმელთა ხუთეული თამაშობს ეგრეთწოდებული დუბლვეს სისტემით. გარემარბები და თავდამსხმელთა ცენტრი იშვიათი სიზუსტით ავითარებენ ლამაზ და სპორტულად საინტერესო კომბინაციებს, რომელსაც მჭიდროდ უკავშირებენ მუდამ სახიფათო გარღვევებს. დინამოელთა დაცვა დაიბნა. განსაკუთრებით ვერ იდგნენ თავიანთ სიმაღლეზე ნახევრადშუა დამცველები ფროლოვის გამოკლებით. გარდა იმისა, რომ მათ ვერ აუღეს ალღო მოწინააღმდეგეებს, ვერც მჭიდრო კავშირი დაამყარეს თავიანთი გუნდის თავდამსხმელებთან. მე–10 წუთზე დინამოელთა დაცვის ყურადღება მიიპყრო მარცხენა ფრთამ, ხოლო მარჯვენა კი ღიად დარჩა, რამაც სინიაკოვს შესაძლებლობა მისცა ანგარიშის გახსნისა. ძლიერი კუთხური დარტყმით მან გაიტანა პირველი ბურთი.

ტაიმის დასასრულს საჯარიმო მოედანზე ტორპედოელები პაიჭაძეს უმასპინძლდებიან სარმით. ინიშნება პენალტი. მ. ბერძენიშვილის დარტყმული ბურთი არხევს მოწინააღმდეგეთა ბადეს.

შეჯიბრების პირველი ნახევარი დამთავრდა ანგარიშით – 2:1 “დინამოს” სასარგებლოდ.

მეორე ტაიმი აღინიშნა თბილისელთა აშკარა უპირატესობით. “დინამოს” თავდამსხმელებმა დამატებით გაიტანეს “ტორპედოს” კარში 3 ბურთი, რომელთაგან აღსანიშნავი იყო პაიჭაძის “შუტი” კარისაგან 25 მეტრის მანძილით დაშორებით, რომლის აღებას ამაოდ შეეცადა მეკარე ვინოგრადოვი. უკანასკნელ წუთებში მოსკოველებმა გაიტანეს მეორე ბურთი პენალტით. მატჩი დამთავრდა დინამოელთა გამარჯვებით ანგარიშით – 5:2.

ამრიგად მოსკოვის “ტორპედო” გავიდა სსრკ თასის გათამაშებიდან.

მიმდინარე წლის სეზონში მოსკოვის ტორპედოელებმა თბილისის “დინამოსთან” მესამეჯერ განიცადეს დამარცხება.

ვ. გ–ლია.
“ახალგაზრდა კომუნისტი”, 4 აგვისტო, 1939 წ.